მარშრუტი: დაბა ხულო-დანისპარაული-გოდერძის უღელტეხილი-მწვანე ტბა-ბეშუმი

მარშრუტის სტარტი/ფინიში: დაბა ხულო/კურორტი ბეშუმი
მარშრუტის სიგრძე: 49,5კმ.
მარშრუტის ხანგრძლივობა: 2დღე
მარშრუტის ტიპი: 4X4/საფეხმავლო/ველო/საცხენოსნო
მარშრუტის სირთულე: საშუალო
მარშრუტის სეზონურობა: ზაფხული
მინ./მაქს. სიმაღლე მ. ზღ. დ. 716/2351
მანძილი ბათუმიდან: 87კმ
ფიჭური ქსელების დაფარვის ზონა: სრულად

მარშრუტი იწყება დაბა ხულოში, აღმოსავლეთის მიმართულებით გრძელდება სოფელ დანისპარაულამდე და მიუყვება ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალს. 22 კმ-ის მანძილზე. სოფელი დანისპარაულიდან ვაგრძლებეთ გზას კურორტ გოდერძის მიმართულებით იმავე გზაზე (2,5 კმ). კურორტი გოდერძი თანამედროვე სამთო-სათხილამურო კურორტია, რომელიც დაარსდა 2012 წელს და დღესდღეობით სრულად არ ფუნქციონირებს, ზამთარში ჩართულია 2 საბაგირო გზა, რომელსაც ავყავართ 2330 მ სიმაღლეზე. ბათუმი - ახალციხის ავტომაგისტრალით ავდივარო გოდერძის უღელტეხილზე (5,7 კმ).
გოდერძის უღელტეხილი ამ მარშრუტისთვის ითვლება საკვანძო წერტილად. აქედან შეგვიძლია დავგეგმოთ ტურისტული მარშრუტები 3 მიმათულებით:
1. გოდერძის უღელტეხილი - მწვანე ტბაზე მარშრუტი იწყება ჩრდილოეთის მიმართულებით და მიუყვება ალპური მდელოების და ტყის საფარის გამყოფ საზღვარს. მისი გავლა შესაძლებელია მაღალი გამავლობის (4X4) მქონე მანქანით. ამ მარშრუტის მთავარი ღირსშესანიშნობა არის გზად შემხვედრი აჭარული იაილები (ზაფხულის დროებითი სადგომები მეიალაღეებისათვის) და ულამაზესი ხედები. 6კმ-ის გავლის შემდეგ გვხდება გზაგასაყარი, საიდანაც თუ მარჯვნივ გავუყვებით საფეხმავლო ბილიკს, მივადგებით მწვანე ტბას. აგრეთვე, სამანქანე გზის გაგრძელების შემთხვევაშიც შესაძლებელია მწვანე ტბამდე მისვლა. შესაძლებელია ეს მარშრუტი არ დავასრულოთ მწვანე ტბასთან და, თუ გავაგრძელებთ გზას ჩრდილოეთის მიმართულებით, დიდაჭარის გავლით დავბრუნდებით სოფელ დანისპარაულში. მარშრუტის გავლა შესაძლებელია როგორც სამთო ველოსიპედით, ასევე ცხენით.
2. გოდერძის უღელტეხილი - კურორტი ბეშუმი, მანძილი 6,5 კმ-ზე მიდის სამანქანო გზა, საზაფხულო სადგომის შქერნალის გავლის შემდეგ გვხვდება საპიკნიკე ადგილი, სადაც იმართება შუამთობის დღესასწაული აგვისტოს პირველ კვირა დღეს. აქედან მარშრუტი სრულდება კურორტ ბეშუმში, რომელიც მდებარეობს 1850-1900 მეტრის სიმაღლეზე. ბეშუმი ფუნქციონირებას ივნისის შუა რიცხვებიდან იწყებს და სეზონი სექტემბრის დასაწყისამდე გრძელდება. აქ მრავალადაა კოტეჯები და სააგარაკო სახლები. კურორტი ბეშუმიდან შეიძლება განხორციელდეს საფეხმავლო, საცხენოსნო და 4X4 სამანქანე ტური სოფელ ბაკიბაკოს (12კმ) და ხიხანის ციხის (13კმ) მიმართულებით
3. გოდერძის უღელტეხილი - საბაგრო გზის ზედა სადგური, მანძილი 4,1 კმ. მარშრუტი მიდის ალპური მდელოების ზონაში და ბოლო წერტილიდან (საბაგიროს ზედა სადგურის მიმდებარე ტერიტორია) იშლება თვალწარმტაცი პანორამული ხედი. აქედან შესაძლებელია მარშრუტის გაგრძლება სოფელ თხილვანასა და ბაკიბაკოს მიმართულებით, (13,6კმ).

ხულო-გოდერძის უღ.- მწვანე ტბა





პიროგითი აღნიშვნები

ეკლესია/მონასტერი	საინფორმაციო ცენტრი	ბანკომატი	პორტი	რესტორანი	წყარო	კურორტი	ქოხი
ციხე-სიმაგრე	სასტუმრო	ბანკი	გადასახედი	სოფლად ტურიზმი	თხილმურზე სრიალი	საბაგირო სადგური	სამანქანო
მუზეუმი	სასტუმრო სახლი	გაზგასამართი	ისტორიული ხიდი	ღვინის ტურიზმი	კანიონი	გამოქვაბული	ჯიპტური, ველო, საცხენოსნო, საფეხმავლო
სინაგოგა	სამედიცინო ცენტრი	ვიზიტორთა ცენტრი	საკარვე ადგილი	ფრინველებზე დაკვირვება	ჩანჩქერი	საფლავი	
მეჩეთი	პოლიცია	საბაჟო	საპიკნიკე	ბუნების ძეგლი	აეროპორტი	ადგილის ნიშნული	

აჭარის ა. რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი 2014
www.gobatumi.com